სსიპ ,,საქართველოს სტანდარტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს“
გენერალური დირექტორის 2013 წლის 26 აგვისტოს N62
განკარგულებით შექმნილი საკონკურსო კომისიის
სხდომის ოქმი №1

ქ. თბილისი 27 აგვისტო 2013 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

პრომეთე შევარდნაძე–გენერალური დირექტორი, კომისიის თავმჯდომარე;

კომისიის წევრები:

ნინო მიქანაძე-მეტროლოგიის ინსტიტუტის დირექტორი.

დავით ტყემალაძე–ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი.

გიორგი ჩიტაძე- სტანდარტების დეპარტამენტის დირექტორი.

ავთანდილ ჭიჭინაძე- სტანდარტიზაციის სამსახურის უფროსი.

სიმონ სუხიშვილი-რადიაციული მეტროლოგიის განყოფილების უფროსი.

ავთანდილ მაღლაკელიძე-საერთაშორისო ურთიერთობების, პროტოკოლისა და მარკეტინგის განყოფილების სპეციალისტი.

სხდომას ესწრებოდა მოწვეული ექსპერტი. შპს ,,ელემსის“ წარმომადგენელი - ირაკლი შონია.

დღის წესრიგი: სსიპ ,,საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოსა“ და შპს ,,ელემსს“ შორის გაფორმებული 2013 წლის 11 ივნისის გ/01-13 ხელშეკრულების პირობების შესაბამისად შპს ,,ელემსის“ მიერ წარმოდგენილი, კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების შესყიდვის მიზნით (CPV71200000) განსახორციელებელი საკონკურსო განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის განხილვა/დამტკიცება.

განიხილეს: სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოსა და საქართველოში ევროკავშირის (CIB) წარმომადგენლობას შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროექტის ENPI/2012/301-051 ფარგლებში, 2013წ. სახელმწიფო შესყიდვების გეგმით, პოზიციაზე CPV 71200000 განსაზღვრულია 88,585 (ოთხმოცდა რვა ათას ხუთას ოთხმოცდახუთი) ლარი. შპს ,,ელემსის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით ზემოაღნიშნული შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად ასევე განისაზღვრა 88,585 (ოთხმოცდა რვა ათას ხუთას ოთხმოცდხუთი) ლარი.

კომისიამ განიხილა შპს ,,ელემსის“ მიერ წარმოდგენილი საკონკურსო განცხადების პროექტი და თანდართული დოკუმენტაცია.

დაადგინეს: დამტკიცდეს არსებული სახით საპროექტო მომსახურების შესყიდვის საკონკურსო განცხადება და კონკურსის დასრულების ვადად განისაზღვროს 2013 წლის 10

სექტემბერი. „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წ. 10 თებერვლის N3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, გაეგზავნოს საკონკურსო განცხადება თანდართული დოკუმენტაცით, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონული ფოსტის მისამართზე – contest@procurement.gov.ge გამოქვეყნების მიზნით.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე:

პრომეთე შევარდნაძე

საკონკურსო კომისიის წევრები:

- ნინო მიქანაძე
- დავით ტყემალაძე
- გიორგი ჩიტაძე
- ავთანდილ ჭიჭინაძე
- სიმონ სუხიშვილი
- ავთანდილ მაღლაკელიძე